An oifig Um
Chosaint Idirnaisiunta
საერთაშორისო დაცვის ოფისი

საინფორმაციო ბუკლეტის დანართი N 3 საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებისთვის(IPO 1)

<u>საინფორმაციო განცხადება</u>

ინფორმაცია მინისტრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოში (ირლანდიაში) დარჩენის ნებართვის გაცემის შესახებ.

2015 წლის საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონის 49-ე მუხლის მე -3 ნაწილის თანახმად, მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მისცეს თუ არა განმცხადებელს ნებართვა (სახელმწიფოში დარჩენის), მან მხედველობაში უნდა მიიღოს განმცხადებლის ოჯახური და პირადი გარემოებები და მისი უფლება პატივი სცეს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) თუ რა სახის კავშირი აქვს განმცხადებელს სახელმწიფოსთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში,
ბ) ჰუმანიტარული საკითხები,
გ) განმცხადებლის ხასიათი და ქცევა, როგორც ქვეყნის შიგნით (სადაც შესაბამისი და განსაზღვრულია) ისე მის ფარგლებს გარეთ (ნებისმიერი ნასამართლეობის ჩათვლით).
დ) ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხები, და
ე) ზოგადად განმცხადებლის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი.

შენიშვნა

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს ჩვეულებრივ ექნება წვდომა სახელმწიფოში განმცხადებლების წინააღმდეგ არსებული ნებისმიერი ნასამართლეობის ჩანაწერის დეტალებზე, უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლებმა მაინც უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მინისტრს მათ წინააღმდეგ არსებული ნებისმიერი ნასამართლეობის ჩანაწერის შესახებ, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საერთაშორისო დაცვის ოფისი
2019 წლის აგვისტო